# დროება

## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 35 კვირა, 15 თებერვალი 1909 წ. № 35

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე 10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. რედაქცია დავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება რედაქტორთან ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნ.ომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.


ივდითი მახარობლის ასული და ივანე როსტომის ძე მიქაძენი, შვილნი მათნი მარუსა, კოლა, დიმიტრი, თამარ და ნინა დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგთ, რომ თავიანთ ძვირფას და დაუვიწყარ შვილის და ძმის

### რომანის (თომას)

გარდაცვალებიდან ექვსი თვის შესრულებისას კვირას, 15 თებერვალს, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ავლაბარში პეტრე-პავლეს სასაფლაოს ეკლესიაში. (1—93—1)

თავ. დავით და ნიკოლოზ ფარსადანის ძენი შვილებითურთ და ეფემია ფარსადანის ასული ტუსიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ დის

### ნენე ფარსადანის ასულის ნაცვლიშვილისას.

პანაშვიდები საკუთარ ბინაზე, ყოველ დღე, საღამოს 7 ს. გამოსვენება დილის 9 ს. ოთხშაბათს, კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. წირვის შემდეგ მიცვალებულს წაასვენებენ სოფ. ატანში. (1—96—1)

**წარმოდგენა № 1.** ## ქართული თეატრი **წარმოდგენა № 1.**

ოთხშაბათს, 18 თებერვალს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად ორი ახალი პიესა.**

### ავადმყოფ მსახიობ ვასო აბაშიძის სასარგებლოდ

### საბედისწერო დამბაჩა

დრამა 3 მოქმედებად ტრ. რამიშვილისა.

### სიზმარი ტაინი სოვეტნიკისა

პოლიტიკური ბუფანადა 1 მოქმედებად პოტაპენკოსი თარ. ხახანაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ვ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი. ვ. გუნია, ნ. გვარამძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამმელი, კ. მესხი, ი. ყიფიძე, მ. საფაროვი, კ. ყიფიანი, ვ. ურუშაძე, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.** დ. ს. **წესი ხწორედ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენად „ზიზბეიდას ქორწინება“, „სულელი“, „თვლი“.

რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

### ტფილისის სახაზინო თეატრი

გასტროლი მოსკოვის თეატრის „ერმიტაჟის“ სრულ ანსამბლისა. მხიარული ჟანრი: კომედიები, ფარსები, მიმოსილვები

ს. ფ. საბუროვისა

გახსნა დღეს, ორშაბათს, 16 თებერვალს, გახსნა თეატრისა. ორი პიესა ერთ საღამოს. პირველად ფარსი

„მ ა რ ტ ი ს კ ა ტ ა“.

1 მოქ. რკინის გზის სამმართველოში; 2 მოქ. აუქციონი კოკოტკასთან; 3 მოქ. სტუმრად წვრილ-ფეხასთან. დინა მახალსკის როლს შეასრულებს ნ. ფ. ლეგატ-ლეინგარდტი. პირველად ფარსი 3 მოქმედებ.

„მ ძ ი ნ ა რ ე ბ უ“.

დიანას როლს შეასრულებს ე. მ. გრანოვსკაია; კანიბელის როლს მე-83-ჯერ ს. ფ. საბუროვი. მონაწ. იღებენ: 1 წარ. ქ-ნნი ბარანოვა, ბურაკოვსკაია, ვარტინსკაია, ვერენიევა, გრანოვსკაია, ლეგრ-ლეინგრადტი, მონახოვა, პოგრებოვა, ჩერვინსკაია და სხვ.; ბ-ნნი ბერეზინი, ბროშელი, ვიქტოროვი, გორსკი, გრინევსკი, კაზანსკი, კრამერი, რეპნინი, როკსანოვი, საბუროვი, ფოკინი, ჩინაროვი და სხვა. დასაწყისი საღამოს 8 ს. ბილეთები იყიდება დილის 10 ს.-დან წარმოდგენის გათავებამდე 17 თებერ. „ცაპ-ცარაპ“ და „პანსიონი ქ-ნ სერაფენისა“. (ნ.—1)


მხოლოდ 15 დღით

## დიდი ვაჭრობა

მხოლოდ 15 დღით

კაცისა, ქალისა და ბავშვის შეკერილ ტანისამოსის მაღაზიაში

## „ექსელანს“-ში

გოლოვინის პროს., საზ. მანთაშოვისა, საზოგადო საკრებულოს ქვეშ **„ამხანაგობის ექსელანსის“ მოსკოვის მთავარ გამგეობის განკარგულებით დაინიშნა დიდი ვაჭრობა**

სეზონის შემდეგ დარჩენილ ზამთრის ყველა საქონელზე

მხოლოდ 15 დღით

ესე იგი 26 იანვრიდან 13 თებერვლამდე. აგრეთვე გასასყიდად დამზადებულია

**საზაფხულო საქონელიც.**

დაკლებული ფასი ყველა საქონელზე აღნიშნულია წითელი კარანდაშით იარლიკის მეორე მხარეს. (3—47—3)

მხოლოდ 15 დღით | მხოლოდ 15 დღით


## ცირკი ძმ. ნიკიტინებისა



ორშაბათს, 16 თებერვალს, გახსნა ცირკისა. წარმოდგენა სამ-მოქმედებად. მონაწილეობას იღებენ პირველ-ხარისხოვანი არტისტები. მოვიდნენ ახალი მოჭიდავენი. უკანასკნელად გამოვა ფალავანი **კ. მაისურაძე** და რკინის რელსებს მოღუნავს. ესე 11 საათზე ოთხი საინტერესო **ჭიდაობა**; იჭიდავებენ: 1. **კრახუტო** და **პიერორ-ლეკოლოსი**; 2. **უსუფ-მაჰმედ-ოღლი** და **იოგანსენი**; 3. **მაისურაძე** და **ტომაშევსკი**; 4. **შულცი** და **გოლდი**. ცალკე ყოველ დღე აჩვენებენ საკვირველ ცხენს **ლუისს**. ფასი 30 კაპ. ბავშვები და მოსწავლენი—15 კაპ. დაწვრილებით პროგრამებში.

დასაწყისი საღ. 8 ნახ. ს.

(0—1) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**


**ექიმი** ქუთაისში **ვ. წერეთელი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც გაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი** იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. პიროგნი, N 9. (უ)

**ექიმი ძ. თ. ტუშელაშვილი** ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, სამარდე ძილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—59)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე** გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, საზულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ნ. რცხილაძე** იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი** იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—8)



მხოლოდ ექვსი დღით

## დიდი იაფობა

## პ. ს. დოროფეევთან

ნაჭრები მაუდისა, ტრიკოსი, დრაფისა, დიაგონალისა და სხვა.
ნაჭრები შალისა და აბრეშუმის ქსოვილებისა.
ნაჭრები სატინისა, ბატისტისა, კისეისს და სხვა საზაფხულო მატერ.
ნაჭრები ფერად და თეთრ ბუმაზეისა, გერმ. სარპინკისა და სხვ.
ნაჭრები ლეიბის ყალამქრისა და აივნის პარუსინისა.
ნაჭრები სამებლო მატერიებისა, გარდინის ტიულისა და სხვ.
ნაჭრები ტილოსი ყოველ გვარ საცვლისთვის.
ნაჭრები პანსუკისა, მადაპალამისა, შიფონისა და სხვა სპეციალ. ქსოვ. თეთრეულისთვის.
ნაჭრები ბამბისა და ქსელის ტილოებისა ზეწრებისთვის.

### სპეციალური თეთრეულის განყოფილება საიაფოში

არის კაცისა და ქალის მრავალი დამზადებული საცვალი, ჩულქები და სხვა.

### ყველაფერს დიდი ფასი აქვს დაკლებული

სასადილოდ ვაჭრობა შეწყვეტილია ნაშუადღევის 2¹/₂ - დან 4 საათამდე. (1—ხალ.—1)



**ექიმები** კბილისა ქუთაისში **ნ. ა. დემიდოვი** და **მ. ო. სუხარევსკი**

იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდორონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—95)

**ექიმი გ. ნ. მაზ`კიანი,** მიხეილის ქ., ს. ჭავჭანიძისა. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი. სპეციალური ექიმობა! ნაწლავებისა და კუჭის ავადმყოფობანი. დილით 12—1 ს., საღამოთი 5—7 ს. (25—ზალ.—8)

**ექიმი ჯაფარიძე** ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—62)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 96)

**ექიმი** თვალისა **ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილით 11—1 ს. და საღამოს 5—6 ს.: ვერა, ოლგას ქ. N 31, ს. სარაჯიშვილისა. (25—38—18)

გეომეტრი და მარკშაიდერი

## გ. ს. ასათიანი

გეგმავს ყოველგვარ ადგილებს, ადგენს ზომიერს ფასებში **სახლებისა** და სხვა სამოქალაქო შენობების **პლანებსა და პროექტებს.**

ქალაქი ქუთაისი, ქალაქის გამგეობა, გ. ს. ასათიანი. (0—ნ.—82)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

**რუდენკო**—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

**რიდელი**—სიფილისი, კანისა, ვენერიული, ყოვ. დღე 2—3 ს.

**კალამქაროვი**—საბ. და ქალთა. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშ. და შინაგ. ყოველ დღე 1—2 ნახ.ს.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბთ., ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

**ბოგოვსკი**—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**გორალევიჩი**—შინაგ., ყოველ დღე. 11 ნახ.—12 ნახ. ს.

**ათენიანცი**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე 1—2 ს.

**იაკ. ჩუდნოვსკი**—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

**ნოვიცკი**—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველ დღე 11—საათ.

**პივარსკი**—კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—10)


## ტფილისის წვრილ ვაჭართა მთავარი კომიტეტი

სთხოვს მაგარ სასმელებით მოვაჭრეებს კეთილი ინებონ და სამშაბათს, 17 თებერ. მობრძანდნენ პუშკინის საქალაქო წიგნთსაცავის სადგომში **ლიმონადის ქარხნის გახსნის** შესახებ მოსალაპარაკებლად. (1—1)


**ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხანაგობა**

## „კოლხიდაში“

დაიწყეს წაღება სხვა და სხვა ჯიშის **დამყნილ ვაზისა.** „აქვე იყიდება სხვა და სხვა თესლეულობა: **შემოწმებული აბრეშუმის ზრენი.** საიმედო ფირმებისა „**პასხალიდი**“ და სხვა ხეხილის ნერგები და სხვა.“ საჭირო ცნობები და პრეის-კურანტების მიღება შეიძლება გამგე გ. მ. ნიჟაძისაგან. (20—ნ.—12)


**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდ. აღმასრულებელს** აქვს პატივი აუწყოს გუბერნიის თავად-აზნაურთ, რომ ჩვეულებრივი **საგუბერნიო კრება თავად-აზნაურობისა** დანიშნულია 24 მაისისათვის ქ. ტფილისში. (3—ნ.—2)

**ყვირილის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა** ამით აცხადებს, რომ ხსენებულ საზოგადოების ჩვეულებრივი მორიგი კრება დანიშნულია კვირას, 1 მარტს, ამა 1909 წელს, დილის 9 საათისთვის, დ. ყვირილაში ბანკისავე სადგომში.

განსახილველი საგნებია:

1. გამგეობის და საბჭოს მოხსენება.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. 1908 წლის ანგარიშის დამტკიცება.
4. 1909 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცება.
5. გამგეობის და საბჭოს წევრთა არჩევა. (3—ნ—1)

## ტფილისი, 15 თებერვალი

პირველი ნაბიჯი საქართველოს დამოუკიდებელ ეკლესიის გასაუქმებლად ასის წლის წინად გადასდგეს. მაშინ ეკლესია გაცილებით უფრო მტკიცე ორგანიზაციას წარმოადგენდა, ვიდრე ეხლა. მაშინ სარწმუნოებრივი გრძნობა ღრმად ჩასწვდებოდა ქართველ ხალხის გულს და მორწმუნეთა რელიგიურ კავშირის დარღვევაც უფრო ძნელი იყო, ვიდრე ეხლა. საქართველოს ეკლესიის სრულ დამხობისთვის ასის წლის წინად მეტად მცირე ხელშემწყობი პირობები იყო. ესაა მიზეზი, რომ მაშინ ქართულ ეკლესიის საწინააღმდეგო პოლიტიკა უმთავრესად პასსიურ ფორმებში ჩამოისხმოდა. საქართველოს ეკლესიას ერთს უბედურებაზე მეორეს უვლენდნენ, მაგრამ ისე ფრთხილად კი, რომ ხალხის სარწმუნოებრივი გრძნობა თვალსაჩინოდ არ გაემწვავებინათ და მძიმე-მძიმეთ მიეჩვიათ სამწყსო სახელმწიფოებრივ ტენდენციებით გაჟღენთილ ახალ საეკკლესიო წყობილებას. ეს პოლიტიკა ერთის მხრივ ქართულ ეკკლესიის იერარქიულ წყობილებას სცვლიდა, მეორეს მხრივ კი ეკონომიურად აუძლურებდა მას. ხალხის რელიგიური გრძნობა თითქოს ხელშეუხებელი რჩებოდა, ეკკლესიის უმაღლესი იერარქები კი, მარტოდ დარჩენილნი, უძლურნი იყვნენ და ვერც აწარმოებდნენ ნაყოფიერს ბრძოლას. ეს სიფრთხილის პოლიტიკა საჭირო იყო ქართულ ეკლესიის დასამხობად იმ დრომდე, ვიდრე სარელიგიო ინდიფერენტიზმი სქლად არ მოედებოდა ქართველს ხალხს და ვიდრე ოდესმე სულით ძლიერი ქართული ეკკლესია თავის ფერმიხდილ ლანდად არ იქცეოდა. ეს დროც დადგა.

ასის წლის განმავლობაში ფრთხილად ნაწარმოებმა საეკკლესიო პოლიტიკამ შეაჩვია ქართველ ხალხის ფართო წრეები იმ აზრს, რომ იმისთვის ეკკლესიას მხოლოდ ტრადიციის ძალით დარჩენილ წესების აღმასრულებელი მღვდლები შეადგენენ; მღვდლები, რომელთაც აინტერესებთ არა ხალხში სულიერ ძლიერების დაცვა, არამედ პირადი სარგებლობა და გამორჩენა. ამ აზრის გავრცელებასთან ერთად შეირყა ხალხის გულში ნდობა სარწმუნოებრივ რიტუალებისადმი და ამ გვარად ქართული ეკკლესია სამარის კარს მიადგა. არასოდეს არა ჰქონიათ იმათ, ვინც ქართულ ეკკლესიის მოსპობას ემსახურებოდნენ, ისეთი კარგი დრო, როგორც ეხლა. ამ გარემოებას დღეს ისინი ნათლად ჰხედავენ და იყენებენ კიდეც მას თავიანთ საწადელის ასასრულებლად.

ოთხი წლის წინად, როცა რუსეთის იმპერიაში ყველა ძველ ღირებულებათ ხელახალი შეფასება დაიწყო, საქართველოს სამღვდელოებაც გამოერკვია ძილისაგან და იმანაც პირდაპირ გაუსწორა თვალი ერთის მხრივ თავის მდგომარეობას, მეორეს მხრივ ქართულ სამღვდელო წრეებში თითქოს სასწაული მოხდა. თვალზე გადაკრული ბინდი უეცრად გაჰქრა და სასიკვდილოდ განამზადევმა ქართულმა ეკკლესიამ ისე თამამად ასწია თავი მაღლა სიცოცხლის შესანარჩუნებლად, რომ შორეული მაყურებელნიც კი დატყვევებულ იქმნენ ამ სანახაობის სიდიადით. ქართველ სამღვდელოებაში გაჩნდნენ პირუთვნელი და თავგანწირული, ღრმად მორწმუნე და ყოვლად მშვიდი მოსარჩლენი ქართველ ხალხის სარწმუნოებრივ გრძნობათა ამაღლებისა, მცდელის თვალით ამოიკითხეს ცხოვრების წიგნიდან, რომ სარწმუნოების ასაღორძინებლად საჭიროა აღორძინება საქართველოს ეკკლესიის უფლებებისა, გაიმსჭვალნენ ამ შეხედულებით და წრფელის გულით გამოაცხადეს საქვეყნოდ თავიანთი აზრი.

ამით საქართველოს ეკკლესიის ისტორიაში სრულიად ახალი ხანა დაიწყო, ახალი საეკკლესიო აზრი წარმოდგომით და მისწრაფებით თავით ბოლომდე სარწმუნოებრივის ხასიათისაა; იგი წინააღმდეგია, რომ სახელმწიფო პოლიტიკის სამსხვერ-

პლოზე დ-იწვას ქართველ ხალხის სარწმუნოება და მოწადინებულია, მოისპოს ყველა ის გამათახსირებელი პირობა, რ.მელმაც ჩააგდო განსაცდელში ქართულ ეკკლესიასთან ერთად ქართველ ხალხის სარწმუნოებრივი გრძნობები. ეს ახალი საეკკლესიო აზრი ძლიერია თავის შინაგანის სიმართლით, ძლიერი თავის სულით; მას სწამს სიმართლის საბოლოო გამარჯვება და შეურყეველის სიმტკიცით იცავს სულიერის იარაღით და ქრისტიანულის მორჩილებით თავის თავს. საქართველოს ეკკლესიის მესაფლავეობის მოსურნენი ყველაფერს მოელოდნენ, მაგრამ ქართველ სამღვდელოების წრეებში თუ ასეთი ძლიერი სულიერი ძალა გაჩნდებოდა, ამას კი არა ფიქრობდნენ.

და აი, დღეს, როცა მთელს რუსეთში ფიზიკური ძალა შავრაზმელების ტლანქად სთელავს ყველაფერს, რასაც კი შინაგანი სულიერი ძლიერება გააჩნია, ქართულ ეკკლესიის საუკეთესო წარმომადგენლების წინააღმდეგ ამოძრავებულია ყოველნაირი საშუალება. ყოველ დღე ახალ-ახალი ცნობა მოგვდის ისეთ ფაქტების შესახებ, რომელნიც ამტკიცებენ, თითქოს სადღაც გადაწყვეტილი ჰქონდეთ, ფიზიკურის შევიწროვებით ამოჰგლიჯონ გულიდან ქართულ ეკკლესიის და ქართველ ხალხის სარწმუნოებრივ უფლებათა დამცველებს მათ მიერ დაწყებულ საქმის უანგარო და წრფელი სიყვარული. ბრმა ფიზიკური ძალა სტანჯავს საქართველოს ეკკლესიის საუკეთესო მოსამსახურეებს, მაგრამ არა ყოფილა შემთხვევა, რომ ამ ძალას სარწმუნოება დაემარცხებინოს, ვერც ეხლა შესძლებს იგი ამას.

## სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**აზეფის საქმე.**

13 თებერვალს სათათბირომ განაგრძო კამათი აზეფის საქმის გამო. თითქმის ყველა ფრაქციის ორატორმა წარმოსთქვა სიტყვა:

**სოკოლოვი** (მირნოობნოვლენეცი). სტოლიპინის სიტყვამ ჩვენი პარტია ვერ დააკმაყოფილა. მან მშვენიერი სურათი დაგვიხატა რუსეთის ამაღლებისა და თავისუფლებისა. მაგრამ ვინ უნდა იყვნენ რუსეთის ამმაღლებელნი, თავისუფლების მიმნიჭებელნი. გამოდის, რომ აზეფები, ჰაკაიები, ლოპუხინები და ძმანი მათნი. ამათ-კი ციხეებისა და სახრჩობელების მეტი არა იციან-რა (ტაში მარცხნივ).

**ძიუბინსკი** (ტრუდოვიკი). არც ჩვენი პარტია დააკმაყოფილა სტოლიპინის სიტყვამ. ამ სიტყვაში შეკითხვის პასუხი არ არის. ჩვენ ვთხოულობთ აზეფის საქმის საჯაროდ გამოძიებას, გამოკითხვას ცოცხალ მოწმეებისას—საზანოვისა, აზრამ გოცისა და სხვებისას. ასეთ გამოძიების გზა ერთად-ერთია: ეს საქმე უნდა დაევალოს პარლამენტის საგამომძიებლო კომისიას. იმის დასამტკიცებლად, რომ აზეფი პროვოკატორი იყო, ორატორმა წაიკითხა წერილი, რომელიც ტრუდოვიკებს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიისაგან მიუღიათ. ამ წერილიდან სჩანს, რომ ტყუილი ყოფილა კრების მიერ გავრცელებული ხმა. ვითომ ს.-რევოლიუციონერთა პარტია და მისი ორგანიზაციები დროებით დაშლილიყვნენ: პარტიის კრების მოწვევამდე ცენტრალური კომიტეტი კვლავინდებურად ასრულებს ყველა თავის მოვალეობას. აზეფის გაქცევის გამო ვერ შესდგა სასამართლო აზეფის გასასამართლებლად. სტოლიპინის მოკვლის განზრახვის შემზადება აზეფსა ჰქონდა დავალებული, რადგან პარტიამ პირველ სათათბიროს დათხოვნის შემდეგ შესცვალა პირვანდელი თავისი გადაწყვეტილება ტერრორის შეჩერების შესახებ. 1907 წელს ზაფხულს დაიწყო მზადება ხელმწიფის მოკვლის განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე უშედეგო ცდა იყო ხელმწიფის მოკვლისა. ამ საქმეს აზეფი ხელმძღვანელობდა. მთავრობამ აღმოაჩინა მონაწილენი. აზეფმა ყოველი ღონე იხმარა, რომ საქმე ბოლომდე მიეყვანა. საქმე ჩაიშალა მხოლოდ წვრილმან შემთხვევების წყალობით. ძიუბინსკის აზრით, მთავრობას არ შეუძლიან უპროვოკატოროდ და უჯაშუშოდ ცხოვრება, მ გრამ რუსეთი განთავისუფლდება ამ ჯოჯოხეთისაგან, რადგან ხალხს ასე სურს.

შემდეგ ილაპარაკა პოლონელმა ჟუკოვსკიმ. მან მოითხოვა პოლიციიის რეფორმა და აღნიშნა მართვა-გამგეობის სისტემის უვარგისობა. კრება შესწყდა და განახლდა 2-ს საათზედ.

**ვეგენკორი.** ორატორის აზრით, სტოლიპინმა თავის სიტყვაში ბევრი რამ დამალა, ბევრშიაც წინააღმდეგობა ეტყობოდა. სტოლიპინმა კრინტი არ დასძრა აზეფის წერილზე, რომელიც ბულატმა წაიკითხა. ნუ გავიწყდებათ, რომ აზეფი წევრი იყო სოც.-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა. ამიტომ იმის მოქმედებაში ორი მხარე უნდა გავარჩიო.: ერთი კერძო ინიციატივა ტერორისტულ აქტების მოწყობის დროს, მეორე—მესამე პირების ჩათრევა ამ საქმეში. აშკარაა ამის შემდეგ, რომ აზეფი ნამდვილი პროვოკატორი იყო. აზეფის პროვოკატორობა გამონაკლისი არ არის. პროვოკატური სისტემა—წყაროა მთავრობის ცხოვრებისა და ძალისა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს მთავრობა დაინგრევა, ფეხზე წამოდგება თავისუფალი, ახალგაზრდა და დემოკრატიული რუსეთი (ტაში მარცხნივ, სტვენა მარჯვნივ).

**მაკლაკოვმა** სთქვა, რომ აზეფის საქმე არის დავა მთავრობასა და რევოლიუციას შორის. სათათბირო ამ საქმის გარეშე სდგას, მარტო მას შეუძლიან დაუკვირდეს ამ საქმეს სახელმწიფოებრივობის თვალსაზრისათ, რადგან სათათბირო არა თუ მარტო დამცველი, შემქნელიცაა ამ თვალსაზრისისა. სამწუხაროდ, საეჭვოა, რომ სათათბიროს დარბაზში მოხერხდეს იმ გასისხლიანებულ ტალახის გამორკვევა, რომელშიაც გახვეულია აზეფის საქმე. ცნობები ამ საქმეზე ჩვენ მოგვაწოდეს ორსავე მხრიდან: სოციალ-რევოლიუციონერ პარტიისა და დამცველ განყოფილებისაგან, მაგრამ ერთსაცა და მეორე ცნობასაც წინდაწინვე გატეხილი აქვს სახელი: სოციალ-რევოლიუციონერების ცნობა სარწმუნო არ არის, რადგან სოციალ-რევოლიუციონერები ერთად-ერთი მოდავე მხარეა. მაგრამ განა შეიძლება დავიჯეროთ ისიც. ვითომ გამოუაშკარავებულმა აზეფებმა დამცველ განყოფილებილან სრული სიმართლე სთქვან გამოაშკარავებულ ასეფზე?.. სიმართლის გაგება შეიძლება პირუთვნელ სასამართლოსგან. სასურველია მხოლოდ, რომ ის სასამართლო, რომელსაც ჩვენ დაგვპირდნენ ლოპუხინის საქმისათვის, ნამდვილად იყოს პირუთვნელი, საჯარო, რომ მას დაავიწყდეს მუქარა მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და გამოუცვლელობის შესახებ (ტაშის ცემა მარცხნივ). ორატორი დაუბრუნდა საქმეს და იკითხა: რა მიზეზია, რომ ოპოზიციაც და მთავრობის წარმომადგენელნიც ერთნაირ პოზიციიდან უცქერიან საქმეს და პროვოკაციას ბოროტებად სცნობენ, ხოლო კონკრეტულ შემთხვევებში-კი ერთმანეთს აღარ ეთანხმებიან და სულ სხვა და სხვა ენით ლაპარაკობენ? მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სიტყვა ნათელსა ჰფენს ამ იდეიურ უფსკრულს: ჩვენ, როცა ვხედავთ მთავრობის აგენტს, რომელსაც ბოლომდე მიჰყავს ბოროტი განზრახვა, ვთვლით მას პროვოკატორად, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კი იმას სთვლის მარტო დამბეზღებლად. თუ თქვენ კანონიერ საქმედ სცნობთ ყუმბარების მოწოდებას და ბოროტმოქმედებისთვის წაქეზებას, მაშინ პროვოკაცია ისეთს საქმედ გადიქცევა, რომლის მონაწილეს თქვენ ვერას დროს ველარ დასდებთ ხელს. ნუ თუ მთავრობა ვერა ჰხედავს, რომ მთელი მისი მაძებლობის წესი დამყარებულია იმ საფუძველზე, რომ მაძებარი აგენტები ხელს უწყობენ იმ ბოროტმოქმედებას, რომელსაც შემდეგში ისინი თითონვე სჯიან? რევოლიუციონერების ნდობას ვერავინ დაიმსახურებს პროტექციით და მემკვიდრეობით; იმსახურებენ ბოროტმოქმედებით, ტერორისტულ აქტებით. ესმის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, თუ რა საშინელი სიტყვა სთქვა მან, როდესაც იგი ირწმუნებოდა, რომ აზეფი დროებით მოჰშორდებოდა ხოლმე მცველ პოლიციას, რომ ამით რევოლიუციონერების ნდობა დაემსახურნა? ესმის თუ არა პირველ მინისტრს, რომ ასეთს წამებში აზეფი იძულებული იქნებოდა არა თუ მარტო ხელი აეღო დაბეზღებაზე, არამედ რევოლიუციონერთა ნდობის მოსაპოებლად იგი ბოლომდე შეასრულებდა კიდეც იმ ბოროტმოქმედებას, რომელიც უიმისოდ არა ხერხდებოდა. „თუ რევოლიუციის ერთ-ერთი მეთაური იყო თანამშრომელი პოლიციის დეპარტამენტისა,—ეს მეტად ცუდი საქმეა არა მთავრობისთვის, არამედ რევოლიუციისთვისაო“. ეს მეტად საშინელი ფრაზაა (დარბაზში მოძრაობაა). მართალია ასეთი თანამშრომლობა სამწუხაროა რევოლიუციისთვის, მაგრამ ამავე დროს იგი სამარცხვინოა მთავრობისთვისაც, რადგან თუ იმ რევოლიუციის სათავეში, რომლის გამოც მთავრობა აგვიანებს რეფორმებს და სპობს მანიფესტს, დგანან მისი საკუთარი თანამშრომლები და აგენტები, მაშინ ასეთს პოლიტიკაში არ არსებობს პატიოსნება (ტაშის ცემა). მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ კარგად შეიგნო და მჭევრმეტყველად ასწერა იმ ქაბუკ ქალთა და ვაჟთა საშინელი სულის კვეთება, რომლებმაც გაიგეს, რომ მათ მთავრობის გავლენით განიზრახეს ბოროტმოქმედება და მკვლელობა, მაგრამ აღარ გვიამბო, თუ რა ზიზღი უნდა ვიგრძნოთ მთავრობისადმი, რომელიც ახრჩობს და ჰკარგავს კაცებს, მის მიერვე წაქეზებულებს საბოროტმოქმედოდ (ტაშის ცემა მარცხნივ). იქნება ყველა ის, რაც მოხდა, მოხდა თქვენდა დაუკითხავადა და არა თქვენის სურვილით, მაგრამ მაინც თქვენი ბრალია (ტაშის ცემა მარცხნივ). სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით, ასეთს წამებში ხდებოდა რაღაცა წინააღმდეგი ბუნებისა, მთავრობა და სახელმწიფო უერთდებოდნენ ბოროტმოქმედებას. მაგრამ, როდესაც სახელმწიფო კანონის თანახმად აღარ მოქმედებს, იგი სახელმწიფო აღარაა, იგი იქცევა უბრალო ბრბოდ. მთავრობა ამ დროს კანონზე დამყარებული ძლიერება-კი აღარაა, იგი ისეთივე ბოროტმომქმედი საზოგადოებაა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი საიდუმლო არაა. როდესაც მოხდა ეს ბუნების წინააღმდეგი კავშირი ბოროტმოქმედსა და მთავრობის შორის, მაშინ ჩვენ აღარა გვყავნდა მთავრობა, მაშინ ჩვენ წინ იდგა უბრალო ბრბო, დატყვევებული მკვლელების მიერ (ტაშისცემა მარცხნივ, სტვენა მარჯვნივ): იმ დროს სახელმწიფო ძალა დატყვევებული იყო. და თუ ეხლა მთავრობა ცირკულიარებს უგზავნის თავის აგენტებს, რომლებმაც დაატყვევეს მთავრობა, ეს ბატონის ბძანება-კი არაა, ესაა ურჩ ქვეშევრდომის აჯ ნება. სახელმწიფო ძალა ისე ძლიერადაა დატყვევებული, რომ მთელი ჩვენი შინაგანი პოლიტიკა იძულებული იყო დაჰმორჩილებოდა მცველ პოლიციის პოლიტიკას, რომელსაც მიზნად აქვს დასახული—ბრძოლა კანონიერებისა და საზოგადოებრიობის წინააღმდეგ თავის საკუთარ თვითნებობის გასამარჯვებლად (ტაშისცემა მარცხნივ). მცველ განყოფილების გავლენით გამოიცვალა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეც: იგი წარმომადგენლობით წყობილების ქვაკუთხედად როდი-ღა სთვლის თავისუფლებას, რომელსაც ეხლა იგი უწოდებს, „პოლიტიკურ შეღავათის ფერუმარილის“ საზიზღარ სახელს (ტაშისცემა მარცხნივ). რუსეთი აგურისა და ქვის შენობა როდია. იგი ცოცხალი სხეულია, რომელსაც სული ეხუთება თავისუფლების მოლოდინში. არსებობს ორნაირი პოლიტიკა: ერთს არ ეშინიან ხალხისა და თავისუფლებისაკენ მიჰყავს ქვეყანა, მეორეა უზურპატორების პოლიტიკა, რომელიც არ ენდობა ხალხს და იცავს მხოლოდ თავის საკუთარ ინტერესებს. თავის იმედებს მთავრობა ამყარებს გამცემლებზე და არა ხალხზე, ძალმომრეობაზე და არა თავისუფლებაზე. ერთად ერთი გასამართლებული საბუთი ისაა, რომ მთავრობას თითონაც არ ესმის, რას ლაპარაკობს და საითკენ მივყევართ ჩვენ! (ძლიერი ტაშისცემა მარცხნივ).

შემდეგ ილაპარაკა გრაფმა ბობრინსკიმ. ორატორი, რასაკვირველია, მთავრობას ამართლებდა და ოპოზიციას ლანძღავდა. არსებითად საგანზე ამ ორატორს ხმა არ ამოუღია. ლაპარაკობდა გრძნობებზე და სხვა ამისთანებზე. კადეტებს უსაყვედურა—დუბასოვს რომ ყუმბარა ესროლეს, თქვენ ტაშს უკრავდითო, მილიუკოვი სოც.-რევოლიუციონერების მეგობარი იყოო და სხვა ამისთანები.

პურიშკევიჩმა გაამართლა მთავრობა. იგი პროვოკაციას არ მისდევსო. პროვოკატორი, თუ გნებავთ, სტოლიპინი-კი არა, გრაფი ვიტტე იყოო. მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს ვიტტეს და მისთანებს.

გრაფმა უვაროვმა მთავრობა დაიცვა. ასევე მოიქცა უკიდურესი მემარჯვენე ზამისლოვსკი. რევოლიუციონერები ტერორს მისდევენო, მთავრობასაც სხვა გზა არა აქვსო. რა უყოთ, თუ ზოგჯერ მთავრობის აგენტები [illegible] არიან, შეცდომა ვის არ მოუვა.

[illegible] სის ტრუდოვიკმა პეტროვმა წაიკითხა ტრუდოვიკების ფორმულა. ფორმულის საფუძვლები შემდეგია: დამტკიცდა, რომ აზეფი მონაწილეობას იღებდა ტერორისტულ აქტებში; აზეფის მოქმედება იცოდა შინაგან საქმეთა სამინისტრომ; საიდუმლო პოლიცია აუარებელ ფულსა ხარჯავს იმათ მოსასყიდ დ, ვინც ორივე მხარეს ატყუებს; ეს სისტემა ამრავლებს პროვოკატორებს; საიდუმლო პოლიცია რუსეთში განკერძოებულ სახელმწიფოდ გადაიქცა და სხვა.

**როდიჩევი.** აზეფის საქმე შემთხვევითი მოვლენა როდია, იგი რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრების ძირითადი თვისების დამახასიათებელია. ყოველ აგენტს ბილეთთან ერთად უფლება ეძლევა, რამდენიც უნდა, იმდენი დანაშაულობა ჩაიდინოს. სავალალო უფრო ის არის, რომ მთავრობა ბაკაის სიბრძნით და აზეფის სამართლიანობით ხელმძღვანელობს. სტოლიპინის სიტყვა გულწრფელად მეჩვენა, მაგრამ ამავე სიტყვაზე მეპატჟა, რომ მინისტრი ბრმად მოქმედებს. სათათბიროს მოვალეობაა, პირბადე აახადოს მთავრობას. შეკითხვას იმიტომ ვიღებთ, რომ გვსურს შემდეგში სათათბიროს პასუხი აღარ აგოს ეხლა გამეფებულ სისტემის შედეგებზე, თქვენ კი, უარჰყოფთ რა შეკითხვას, პასუხის მგებლობას კისრულობთ (ტაში მარცხნივ). პირველ სათათბიროს დაშლის შემდეგ მთავრობამ კავშირი შეჰკრა მავრთან (მარჯვნივ: „რა არის“, „რომელი მავრია“) ეს მავრი აზეფის მსგავსი ხალხია. არც ერთი თავის-თავის პატივცემული მთავრობა არ იკადრებს შეუკავშირდეს ბრბოს ტალახიან ნაწილებს (ტაში მარცხნივ). ამ კავშირში როლები ისეა გადანაწილებული, რომ გაუგებარია, სად თავდება მთავრობის აგენტი და სად იწყება ბოროტმოქმედება. ზნეობრივად მარტო რევოლიუცია კი არ შელახულა, არამედ უფლებების და განსაკუთრებულ წესების რეჟიმიც. რუსეთის საფრთხე ის არის, რომ უმაღლეს წრეებში უფლება-შეგნება მოკვდა, გაჰქრა. სტოლიპინმა გამოაქვეყნა ლოპუხინის საქმის წინასწარი გამოძიება და ამით უკანონობას სჩადიან და სთელავენ იმ კაცის უფლებას, რომელსაც საშუალება არა აქვს თავი დაიცვას, რადგან იგი საკანში ზის. ასეთი განცხადებით სტოლიპინმა ძალა დაატანა სასამართლოს (ტაში მარცხნივ). თუ ლოპუხინი სამართალში მისცეს და აზეფი კი არა, სჩანს რომ რუსეთში ორი სიმართლეა: ერთი—მთავრობის სამსახურში მყოფთათვის, მეორე—ამ სამსახურში არ მყოფთათვის. სახელმწიფო, სადაც წესრიგის ბურჯს კანონის სისტემატიურ დარღვევაში ეძებენ, მიმწიფებულია უცხოელების შემოსევისთვის. სანამ მთავრობას კავშირი აქვს მავრთან, მანამდე შეუძლე-

# ფელეტონი

## ბედნიერება და სიკვდილი

ვუმზერ, ვით ჰყვავის ნაზი ბუნება,
ჰხარობს სამყარო და იღიმება.
სატრფო დამეყრდნო ბრძოლით დაქანცულს,
და ჩამჩურჩულებს ნ_ლ_დ სიყვარულს!
შევსტრფი მშვენიერს,
ჩემსა სალოცველს!
ვუსმენ სიმღერას
და სიმთა ჟღერას.
სიამე, შვება,
ბედნიერება
წუთით მავიწყებს
რომ ცრუ სოფელი,
დაუნდობელი
არის სიზმარი,
ამაოება!...
სულით სატრფოსთან ვხარობ,
ვნავარდობ,
ჰიმნს მომხიბვლელსა ტკბილად ვუგალობ!...

* * *

ვერა, ვერ იცან შენი ერთგული,
რად მომიწამლე სული მგზნებარე?
მარად ობოლი შევსტირი ზეცას,—
შენ მაინც, მნათო, ტანჯვა მაკმარე!..
ბედმა მუხთალმა ადრე გამწირა,
ჩემს გზასა ჰნამავს ცრემლი მდუღარე;
უკან სიკვდილი და წინ სამარე!..—
შენ მაინც, მნათო, ტანჯვა მაკმარე!..

* * *

ბედნიერების სხივი ციმციმებს,
სულსა სევდიანს ეალერსება;
ხანმოკლე არის მისი ნავარდი,
ვითა აჩრდილი, ილევა, ჰქრება!..
ჩვენ მონები ვართ ულვთო სიკვდილის,
ამაო არის ნატვრა-სურვილი;
მიჰფრინავს ჟამი!.. მსხვერპლად ვეცემი!..

ირგვლივ კვლავ მოთქმა, კვნესა-წუხილი!..

* * *

მე მივილტვოდი ცის ლაჟვარდისკენ,
ვაფრქვევდი სხივსა, ვაკმევდი სურნელს;
ვაგლახ! ვერ მიცნეს თანამდროვეთ
და ნაღვლიანი გავშორდი სოფელს.
მას შემდეგ დავგმე ბრბო უგუნური,
ობოლ ჩანგზედა მარტო ვმღერ ჰანგებს;
და ასე მიჰქრის შავი ცხოვრება...
მოვსთქვამ და ვგოდებ, სულიც ვალალებს!..

* * *

ყვილ-ზახილზე ხმას არა მცემენ.
ნორჩ გულს მიქეჯნის ეჭვი საზარი;
საით წავიდე, ვის მივეკედლო?
სატრფო მიმიღებს თუ მეგობარი?

* * *

შავსა მერანსა
მივაქროლებ ნეტარებისკენ.
ვუახლოვდები,
მაგრამ იგი სულ წინ მიფრინავს;
ვერა. ვერ იქმნა,
ვერ შევეხე ნაზსა, მშვენიერს,
ჩემთვის უცნობი
მიუწვდომლად ციმციმებს, ბრწყინავს!
შავი სიკვდილი
მოჰქრის ცელით, არა მშორდება,
ხან წინ გამისწრობს,
ხან კვალდაკვალ ამედევნება;
ნუ თუ მიზანსა
ვერ მივაღწევ, ისე მიმსხვერპლებს
ამ უდაბნოში
ობრად შთენილს ვინ დამიტირებს?

**ა. შანშიაშვილი.**

# სტირის სოფელი

გაცივებული, თოვლში ჩაფლული სტირის სოფელი, უიმედო, მუდამ ობოლი, მუდამ დაჩაგრული.

ცივი ბურუსია, სიჩუმე, სასაფლაოს მსგავსი.

მხოლოდ პაწია ჩიტებს ხან და ხან მოაგონდებათ ხოლმე თავიანთი საყვარელი თავისუფალი ველი და მთები.

ამ სიჩუმეში იწყებენ ჭიკჭიკს, თითქოს სასაფლაოზე ვინმე ჰფენდეს თავის ვერცხლის ხმას.

—

შავი დაძველებული კარები ჭრიჭინით იღება. მაზარის ნაგლეჯებში გახვეულნი მიხა, სოლო, ნიკო მალლა იღებენ თავებს და დათოვლილს ხეების ტოტებზე ხედავენ ჩიტებს.

მშვიდობიანი ღიმილი ოდნავ აშუქებს მათ პირისახეს.

„ამ ერთ თვესაც როგორმე გაუძლებთ და გაზაფხული მოვა!“—წელში სწორდებიან ჩემი მეზობლები.

—

„შობის მარხვა იყო და მაინც არ გაგვიგონია ზარის ხმა. უნდა უჩივლოთ ღვდელს! დრამას ლამაზათ ჰკრეფავს, ჩვენთვის კი არც ლოცვაა, არც ჯვარი, არც სახარება. რამდენი ბავშვი მოკვდა მოუნათლავია! სოსომ ქალი გაათხოვა. ქორწილში კარგად დაბეჟეს ეს ღვდელი, იმიტომ რო ბარე სამი თუმნის ჭურჭელი დღუმტვრია მასპინძლებსა. აბა მეტი უბედურება იქნება? ღვდელს ვცემეთ! მოთმინებიდან გამოვედით. მანამ პავლემ არ მისცა სუქანი ქათამი, სახლი არ გაუნათლა“.

ასე ჩივიან მღვდელზე ჩემი მეზობლები წერილებში, რომელიც მე მივიღე.

რომ პურიშკევიჩი მემარჯვენე პარტიაში არ იყოს, ან კავკასიის რუსებს რომ უფრო ღირსებული დეპუტატი ჰყავდეთ, ვიდრე მეშუშე ტიმოშკინია, ეს წერილები თვალსაჩინო ადგილს ჰპოვებდნენ რუსულს პრესაში, მაგრამ ..

—

სტირის სოფელი. ოდნავ ამოუყვია თოვლიდან თავისი გამურული ბუხრის თავები.

მოსავალი? ჰე! ივლისში გაილეწება პური, სანამ ის მოსავალი იქნება, ვინ იცის, რა მოხდება?! შავ მატლისებრ მოცოცავს შიმშილი... ჯერ სად არის მოსავალი. დედის ძუძუსებრ სწოვს თესლი დათოვლილ მიწას; გაიჩურჩუნებს თავის რბილ აკვანში, მარტში ძლივს ამოჰყოფს თავს; მზე ალოკავს თოვლს, ამწვანდება დედა-მიწა.

— დედა, მშიან!—სტირის პაწია ნუშო და ულონოდ ახლის დედის კალთას თავის შავ გაჩენილ თავს.

— დღეში ერთხელ აჭამე ამ მგლებს!—გაშფოთებულმა მიხამ უბრძანა თავის ნინოს:—არა ხედამ, რო ფქვილი თავდება! მარცვალი აღარა გვაქს... ურიის ვალი უნდა ავიღო და ვაი ჩვენი ბრალი! სამ კოდს დამპირდა, კალოზე წაიღებს ცხრა კოდს. ახლა ღალა, ახლა დრამა, ახლა... ჭირი! ეჰ!

—

„მთავრობა შეისყიდის მიწებს, დაურიგებს ხიზნებს იმ პირობით, რომ რაცა ღირს მიწა (დაფასდება 1864 წლის რეფორმის ფასით), იმის სარგებელს მისცემს გლეხი-კაცი. თუ 28 წლით იქნება, ხიზანი წელიწადში მისცემს 3 მანეთსა, თუ 40 წლით—სარგებელი 2 მ. 25 კ. იქნება, 50 წლით—2 მ. 50 კაპ. ისე რომ 28, 41, 50 წლის შემდეგ ხიზანი შეიქნება მესაკუთრე... ექნება თავისი მიწა,—ეუბნება სოფელს ქალაქი:—პროექტია... უნდა ამ წლის განმავლობაში გადასწყდეს ეს საქმე“...

სოფელი შორიდან იყურება ჩაფიქრებული, გაცივებული. აგონდება თავისი წარსული: შავი დღე, მწარე ღიმილი. სახლის ჭუჭუტანებში თითქო გაიყინა გლეხ-კაცობის ცრემლი.

—

განა ჩვენი კანონები ჰუმანიური არ არის? ჩინოვნიკების მთელი ჯარი სულ ხალხის სამსახურს არ უნდება? რამდენი ქაღალდი იწერება? რამდენი პაკეტი დააქვს ფოსტას?

რო მოვაგროვოთ ეს ქაღალდები, ეს პაკეტები, დაურიგოთ სოფლის მცხოვრებლებს, გლეხ-კაცებს ტყეში სიარული აღარ დასჭირდებათ... ლამაზად აგუგუნდებდა ბუხარი... გაუთბება მიხას გვერდები.

განა არ იყო 17 ოქტომბერი? სიცივე, შიმშილი, უპატრონობა და უვიცობა აღრჩობდა სოფელს. მოვიდა 17 ოქტომბერი—დარჩა ძველი დარდები, მიემატა სისხლი, ჭუჭყი... დევს სოფელი მძიმე ავადმყოფის მსგავსად...

—

წარსულ ზაფხულს ვნახე გორში მაზრის უფროსი, რომელიც დამშეულ ხალხის გ მომკვებ კომიტეტის წევრი იყო.

— ქარელის საზოგადოების 165 კომლმა გლეხმა არზა შემოიტანა. აცნობეს კომიტეტს თავიანთი გაჭირვება: მათ აწუხებდათ შიმშილი და არც თესლი ჰქონდათ. არზა შემოიტანეს მარტში, ეხლა ივლისია. აქამდის პასუხი არ მიუღიათ. ბევრ გლეხს ამ ლოდინში მიწა მოუცდა.—მოვახსენე მაზრის უფროსს:

— რა პასუხი უნდოდათ იმ გლეხებს?—გაკვირვებით მითხრა მაზრის უფროსმა.—იმ სოფლებში მოუსავლობა არ იქნებოდა!

— საიდან იცით? ხომ არც ერთი მოხელე არ გაგიგზავნიათ იქ გლეხების გაჭირვების შესამოწმებლად?

— რა მოხელის გაგზავნა უნდოდა, როცა კარგად ვიცით, რომ გეოგრაფიულის მდებარეობით იმ სოსოფლებში შიმშილი არ უნდა ყოფილიყო!—გადაჭრილი პასუხი მივიღე უფროსისაგან.

— არ უნდა ყოფილიყო... მაგრამ გეოგრაფიულის მდებარეობით არც მთელ ჩვენ საქართველოში უნდა ყოფილიყო შიმშილი, ნამდვილად კი იყო...

—

სტირის სოფელი, თოვლში ჩაფლული...

ქალაქებში ღრიანცელია... მესინის უბედურება... პურიშკევიჩი... ბობრინსკი, სათათბირო... ოსმალეთი... აბა ჩქარა დაბეჭდეთ, ეშველება საქართველოს!

ეს სიტყვები დაღეჭილ, დამახინჯებულ შინდის კერკისებრ ეკვრება მატარებლის სადგურებს. არ მოფრინავენ ჩვენ მივარდნილ კუნჭულებში.

—

გაზაფხულის თბილი მზე წითლად ამოვა, თითქო წითელი კახური ღვინო დაულევიაო. ნებივრათ ალოკავს თოვლს, ჩაჰყლაპავს ცივ ბურუსს, რომელიც ლეჩაქივით გადაჰკვრია სოფელს. ალუა ბავშვივით უზრუნველად გაიცინებს ცა. ვერცხლის ყაითნის მსგავსად მთიდან ჩამოცვივდება წყალი, დაიფანტება მიწაში, როგორც სარკის შუშა, დაიწყებს ბრწყინვას. მწვანე ხალიჩები გადეეფარება მთას და ბარს...

—

აქა-იქა მიწაში თავ-დაღუნულნი დადგებიან მიხა, პავლე, სოლო, მაზარის ნაგლეჯებში გახვეულნი, თოხებით დაკოჟრებულ ხელებში.

სახლის უკან მზეზე ძონძებში გახვეული ბავშვები გამწკრივდებიან ფეხშიშველები, გაწეწილები. ნაფოტებით დაუწყებენ ჩიჩქნას კედელზე მიკრულ შინდის ან ტყემლის კერკს... ეს იქნება იმათი ძვირფასი ხილი.

—

სტირის სოფელი, დაობლებული, უიმედო, დაჩაგრული.

**დ. ვედრებისელი.**

ზელია რუსეთის ზნეობრივი განახლება. თავისუფლებად, გვეუბნებიან. ეს ის თავისუფლებაა, როდესაც მთავრობის ხინილისი შეზღუდული არ არის და ზელეში გახსნილი აქვს ... (ტაში მარცხნივ). რევოლუციონურმა კონსპირაციებმა და მავრების ორგანიზაციებმა, მთავრობასთან შეკავშირებულებმა, არ უნდა დაივიწყონ, რომ წმინდა საქმე ჭუჭყიან საშუალებით და სისხლიან ხელებით არა კეთდება. შეგიძლიან ვიწამოთ პირის სინიდისი, მაგრამ გაზრახული სიბრძ... ასეთ ხალხს უფსკრულს უმზადებს. ეს კიდევ არაფერი, რომ მთელ რუსეთს არ მიაქანებდნენ დაღუპვისაკენ (ტაში მარცხნივ).

როდიჩევის შემდეგ ილაპარაკა მემარჯვენე გულკინმა და სხდომა მესამედ შესწყდა.

მემარჯვენემ მარკოვმა მეორემ თავისებური სიტყვა წარმოსთქვა. პროვოკატორები ისინი არიანო, ვინც პირველ სათათბიროს დათხოვნის შემდეგ ვიბორგში წავიდნენო, ვინც ხალხს ურჩევდა—გადასახადებს ნუ გადაიხდითო და სხვა. აზეფი-კი, თუმცა ებრაელია, მაგრამ მისი პროვოკატორობა არ დამტკიცდაო.

ზომიერმა მემარჯვენეებმა შემდეგი ფორმულა შეიტანეს: „ვცნობთ რა მთავრობის განმარტებას დამაკმაყოფილებლად, გვწამს, რომ ტერორთან ბრძოლაში მთავრობა ყველა კანონიერ საშუალებას იხმარს. სათათბირო უარსა ჰყოფს აზეფის შეკითხვას და გადადის მორიგ საქმეებზე".

ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა კადეტების ლიდერმა მილიუკოვმა. მემარჯვენეები და ოქტომბრისტები ორატორს ჩვეულებრივ ხელს უშლიდნენ, აწყვეტინებდნენ, ილანძღებოდნენ. რადგან დეპეშას ამ სიტყვის გაგრძელება არ გადმოუცია, ამიტომ მთელ სიტყვას სამშაბათს დავბეჭდავთ.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
14 თებერვალი.

### სპარსეთი

**ლონდონი.** რეიტერს თეირანიდან დეპეშით ატყობინებენ: შაჰის ჯარის იერიში თავრიზელ რევოლუციონერებმა ყოველ მხრივ მოიგერიეს. შაჰის ჯარმა ზარალით დაიხია უკან.

### ბალკანეთი.

**პრაგა.** „პრაგერ-ტაგებლატში" დაბეჭდილია ერთი მოხელის ნალაპარაკევი. ამ მოხელის სიტყვით ავსტრო-ჰუნგრეთის ჯარი მშვენიერადაა მოწყობილი. არტილერია—საუკეთესოა მთელ დედა-მიწაზე. აფიცრებს სასტიკად ადევნებენ თვალყურს და უნიჭოებს ან სამსახურიდან ითხოვენ ან სულ უმნიშვნელო საქმეს ანდობენ. მიუხედავად ამისა, სამხედრო წრეებში არ არის ისეთი პარტია, რომელიც ომის მოსურნე იყოს.

**კელნი.** „კელნიშე ცაიტუნ."-ს ბერლინიდან ატყობინებენ: საქმესთან გაცნობილ პირების აზრით, საბაბი არ არის შიშით უყუროს კაცმა ბალკანეთის საფრთხეს. ისიც მართალია, რომ საქმის ვითარება ჯერ გამოურკვეველია და ასე იმ დრომდე, სანამ ის სახელმწიფოები, რომელთაც სურთ მშვიდობიანობა, არ დაიყოლიებენ რუსეთს, განუცხადოს სერბიის მთავრობას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ომი დაიწყო, რუსეთი მას არავითარ შემთხვევაში არ დაეხმარება. ამიტომ საჭიროა მოვუცადოთ რუსეთის გადაწყვეტილებასა.

**ბელგრადი.** მინისტრ-პრეზიდენტმა ნოვაკოვიჩმა საკანონმდებლო პალატაში შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: „ბატონებო, პატივი მაქვს წარვსდგე პარლამენტის წინაშე, როგორც ახლად შედგენილ კაბინეტის სათავეში მდგომი. ამ კაბინეტის შედგენა ყველა პარტიის წარმომადგენელთაგან გამოიწვია ეხლანდელმა განსაკუთრებულმა ვითარებამ, ამიტომ შინაურ პოლიტიკაში ერთ-სულოვანებაა საჭირო. საჭიროა ისეთი ძალა შევქმნათ, რომ გარედან მოვლინებულ საფრთხეს ანგარიში გავუწიოთ. დღეს ერთ სახელმწიფოსაგან საფრთხე მოელის ჩვენ ბუნებრივ უფლებას, რომელიც დღემდე ჩვენი არსებობის ქვა-კუთხედს შეადგენდა და რომელიც აღიარებული იყო საერთა-შორისო ხელშეკრულებითაც. სერბიის ახალი მთავრობა წარსდგა დღეს ხალხის წარმომადგენელთა წინაშე და ეს მომასწავებელია იმისი, თუ რამდენად აფასებს ხალხი ეროვნულ საკითხს. ეს გვიჩვენებს, რომ ეროვნული საკითხი სერბიისათვის ყოფნა არ ყოფნის საკითხია, და ამიტომ იმისი გადაწყვეტაც ხალხის წარმომადგენელთა გარეშე შეუძლებელია. სერბიის ხალხი უმალ შესწირავს უკანასკნელ შვილსაც კი, სანამ ჩააქრობდეს ეროვნულ გრძნობას".

**სტამბოლი.** ავსტრო-ჰუნგრეთის შეთანხმების ოქმს ორივე მხარემ მოაწერა ხელი.

**სკრამენტო** (შტატი კალიფორნია). სენატმა 28 ხმით, წინააღმდეგ 7-სა, მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც საზოგადოთ აზიელებს ეკრძალებათ შეერთებულ შტატებში ცხოვრება.

**პარიზი.** გარდაიცვალა ცნობილი კარიკატურისტი კარან დაში.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. წინა დღის ცხარე კამათის შემდეგ რეიხსტაგი შეუდგა კენჭის ყრას. გადასაწყვეტი იყო პოლონელთა წინადადება ახალ კანონის გამოცემის შესახებ, რომ პოლონელებს თავისუფლად შეეძლოთ მიწების შეძენა. სამჯერ წაკითხვის შემდეგ წინადადება მიიღეს 189 ხმით, წინააღმდეგ 132 ხმისა. ეს კანონი მიმართულია პრუსიის ეგრეთ წოდებულ იძულებით მიწების ჩამორთმევის კანონის წინააღმდეგ. პრუსიის კანონით პოლონელებს აკრძალული ჰქონდათ მიწების შეძენა და აღმოსავლეთის ადგილებში გადასახლება, თუ კი ეს გადასახლება გერმანიზმის წინააღმდეგ იქნებოდა მიჩნეული.

### რუსეთი

**იაროსლავლი.** ხოლერით გარდაიცვალა ერთი კაცი.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 13, გარდაიცვალა 5 კაცი.

სამოსამართლო პალატამ გაარჩია საქმე წიგნის ვაჭრის პიროჟკოვისა ერთი წლით ციხე მიუსაჯა. პიროჟკოვს ჰბრალდებოდა გამოცემა ბალმონტის წიგნის „თეთრ რიჟრაჟები"-სა, სადაც აშკარა შეურაცყოფაა ხელმწიფისა.

სენატმა გაარჩია საქმე ტამბოვის გაფიცვის კომიტეტის 28 წევრისა. ეს საქმე გაარჩია ტამბოვის სასამართლო პალატამ და ბრალდებულთ მიუსაჯა თითო წლით და სამი თვით დაპატიმრება. სენატმა პალატის განაჩენი გააუქმა და ხელახლა გარჩევა დანიშნა.

**მოსკოვი.** გენერ.-გუბერნატორმა 3000 მანეთით დააჯარიმა გაზეთი „ჟიზნი" ლ. ტოლსტოის წერილის „სიავეს სიკეთეც მოსდევს" (нѣтъ худа безъ добра) დაბეჭდვისათვის.

**ორიოლი.** მალო-არხანგელის მაზრაში 11 თებერვალს ღამე თორმეტი შეიარაღებული კაცი რევოლვერებით ხელში შევარდა ტელიაქას საურთიერთო კრედიტის ამხანაგობისა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გამგეობაში. იქ შეჰკრეს გამგეობისა და საბჭოს ცხრა წევრი და კასა გასცარცვეს. შემდეგ ერთ-ერთმანეთზე გადაიბეს ადგილობრივ მემამულე ქალის ხუთი მოსამსახურე, გაიტაცეს აქედანაც ფული და გაიქცნენ ცხენებით.

# საყურადღებო „ინციდენტი"

არ არის დიდი ხანი, რაც ჩვენ თავ.-აზნაურთა წრეებში მოხდა მეტად საყურადღებო ინციდენტი. ქალაქ ქუთაისში შარშან 22 დეკემბერს მოხდა იმერეთის თავ.-აზნაურთა საგანგებო კრება, რომელსაც აზრადა ჰქონდა პურიშკევიჩის წინააღმდეგ პროტესტი განეცხადებინა.

კრებაზედ, როგორც „ნოვ. ზაკავკაზიეს" კორესპონდენციაში იყო აწერილი, თავ. დავ. მიქელაძეს გაწუხილავს ოქმი სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩეველთა სხდომისა (სხდომა მოხდა პეტერბურგში 1907 წ, ოქტომბრის თვეში), რომელსაც დაესწრნენ იმერეთ ამერითის ქართველ თავად-აზნაურობის ამომრჩეველნიც. ეს ოქმი დეპუტატთა საკრებულოსათვის წარუდგენია ერთ-ერთ ამომრჩეველს, თავ. ვლ. მიქელაძეს. თავ. დ. მიქელაძეს ოქმის ეს ადგილები მოუყვანია.

ცნობილ დეპუტატ მარკოვს ილია ჭავჭავაძის მემარცხენეობის შესახებ ასეთი სიტყვები უთქვამს: „ვიცი მხოლოდ ის, რომ ჩვენის სლავიანურის სულგრძელობის გამო ერთი ადგილი მივეცით საქართველოს წარმომადგენელს თავ. ჭავჭავაძეს, რომელმაც სახელმწიფო საბჭოში მემარცხენეებს მისცა მხარი, მით რომ სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ წავიდა. ამ მაგალითის შემდეგ, უკაცრაოდ ნუ გახლავართ, მაგრამ თავის დღეში თეთრს ვერ მოგცემთო". (ქართველ ამომრჩევლებს ეუბნება). ამ სიტყვების შემდეგ თ. დ. მელიქიშვილი ამტკიცებდა ქართველ თავად-აზნაურობის ერთგულებას და ილიას გამო კი ესა სთქვა: „რაც შეეხება განსვენებულ თავ. ჭავჭავაძეს, გულით ვწუხვარ, თუ მისმა შეცდომამ გავლენა იქონია ამ არჩევნებზედ: ამაში (შეცდომაში) არც ქართველ თავ.-აზნაურობას უდევს წილი და არც მის წარმომადგენლებს". მარკოვს შემდეგ მიუმართავს იმავე ქართველ ამომრჩევლებისთვის და პოლიტიკურის მრწამსის ალსარება მოუთხოვნია. ამაზე თავ. დ. მელიქიშვილს უპასუხნია: „მე მაცვია სახლის მუნდირი და ჩემი პოლიტიკური შეხედულება ყოველს ეჭვს გარეშე უნდა იყოს. მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, რომელნიც ფარისევლურად ატარებენ ამგვარ მუნდირს და მას ქვეშ კი მალვენ სამშობლოსთვის საზარალო პოლიტიკურ აზრებსა და მეფესა და ტახტს ძირს უთხრიან. მე მემარჯვენე ვარ და მოვედი აქ, რასაკვირველია, იმიტომ კი არა, რომ ვითხოვო ავტონომია და ავტოკეფალია"*).

თავ. დ. მიქელაძეს განუცხადებია, პურიშკევიჩები და მსგავსნი მისნი ჩვენ ვერას გაგვიბედავდნენ, თუ თვით ჩვენ მიერ არჩეულ კაცებს ამ გვარ სიტყვებისთვის პასუხს მოვთხოვდეთო, და გულითადი პროტესტი განუცხადებია თავ. მელიქიშვილის ზემოდ მოყვანილ სიტყვების გამო. თავ. დ. მიქელაძის პროტესტი კრებას მოუწონებია. თ. მელიქიშვილს კი თავ. დ. მიქელაძის სიტყვები გულზედ მოხვედრია, და ამის შემდეგ ინციდენტი თანდათან ღრმავდება.

თავ. დ. მელიქიშვილს ანგარიში მოუთხოვნია ქუთაისის თავ.-აზნაურობის საგანგებო კრების თავმჯდომარისთვის, რომელსაც შეუტყობინებია: ეგ სიტყვები თავ. დ. მიქელაძეს კრებაზედ კი არ უთქვამს და არც კერძო სხდომაზე, ორიოდე კაცს ებაასებოდა და არც არავის მოუწონებია მისი სიტყვები, არც „ჰო" უთქვამს და არც „არაო", და საბუთად კრების ოქმიც გაუგზავნია, რომელშიაც ამ ინციდენტის შესახებ არაფერი ყოფილა მოხსენებული. თავ. დ. მელიქიშვილი ამით მაინც არ დაკმაყოფილებულა, უსამართლოდ შეურაცხყოფილად მიუჩნევია თავი, ვინაიდან ეგ სიტყვები არ მითქვამს, ჩემი სიტყვები გადამახინჯებულიაო, და იმერეთის თავ.-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს მსჯავრისათვის მიუმართავს. დეპუტატთა საკრებულომ ამ საგნის გამო „განსაკუთრებული" სხდომა მოახდინა 9 იანვარს და შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

„თავ. ვლადიმერ მიქელაძეს წარუდგენია იმერეთის თავ.-აზნაურობის მარშლისათვის ოქმი 1907 წლის ოქტომბრის თვეში სახელმწიფო საბჭოს წევრის არჩევის შესახებ. ეს ოქმი დაედო საფუძვლად არა სასიამოვნო ინციდენტს, რომელიც მოხდა იმერეთის დეპუტატთა საკრებულოს სადგომში. ამ ოქმს არა აქვს შეურყეველის, ოფიციალურის დოკუმენტის ძალა. ხოლო ამ ოქმში მოქცეული ფაქტები არჩევნების შესახებ და **ორატორთა სიტყვების შინაარსი კიდეც რომ არ წარმოადგენდეს არაფერ საეჭვოს, მაშინაც არავითარ საბუთს არ გვაძლევს რაიმე საყვედური გამოუცხადოთ თავ. დ. მელიქიშვილს".** (ხაზი ჩემია)

შეიძლება ამ დადგენილებით თავ. დ. მელიქიშვილი სრულიად დაკმაყოფილებული დარჩა, ყოველ შემთხვევაში იმის მოქმედების გამო ქართლ-კახეთის დეპუტატთა საკრებულომ იკისრა პასუხის გება და თვით მახეში გაიბა თავი, რომლიდანაც თავის დაღწევა არც ისე ადვილია. იმერეთის დეპუტატთა საკრებულომ, „გაძლიერებულის სახით" შეკრებილმა, უეჭველი და შეურყეველი საბუთი მოგვცა იმისი, რომ იგი, ამ რეზოლიუციაზედ ხელის მომწერი, არა თუ საყვედურის, გაკიცხვის ღირსიც არის. როგორ წარბ-შეუხრელად, უდიერად იხსენიებენ ეს ადამიანები იმ ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც ქართველმა ერმა მოწამეობის გვირგვინი დაადგა? როგორ, ილია ჭავჭავაძემ „შეცდომა" ჩაიდინა, თუ გინდა მარტო ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის წარმომადგენელის როლშიაც რომ ყოფილიყო, „შეცდომა" ჩაიდინა, სახელმწიფო საბჭოში, რომ მემარცხენეთა ჯგუფში ჩაეწერა და სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ წავიდა? როგორ, თავ. დ. მელიქიშვილია*) ყოველსავე მადლობისა და პატივისცემის ღირსი, რომ კრუპენსკისა და მარკოვის, იმ ხალხს, რომელსაც ჩვენი სისხლი სწყურიან, ამ ხალხს ერთგულება შეჰფიცა და ილია კი, რომელმაც ჩვენ მტრებს ზურგი შეაქცია, როგორც შეეფეროდა ნამდვილ მამულიშვილს, ესეთი ადამიანი სიკვდილის შემდეგაც კი აღარ არის დასანდობი და მისი ყოვლად რიგიანი მოქმედება „შეცდომად" არის აღიარებული? როგორ, თავ. აზნაურობა, იმ თავ.-აზნაურობის წარმომადგენელნი, რომელნიც ვითომდა ჩვენის ხალხის საეროვნო იდეალის მებაირაღტრედ გამოდიან, ირონიითა და კბილის ღრჭენით იხსენიებენ ქართველის ერის ისტორიულ უფლებებს ავტონომიისა და ავტოკეფალიის შესახებ? და გუშინ წინ ერთხმად აღიარებულს პრინციპს სასაცილოდ იგდებენ და იმ თავ. მელიქიშვილის სიტყვებს კვერს უკრავენ, რომელმაც თვითვე შეიგნო, რომ თავ.-აზნაურობის უმეტესობის მიმართულების წინააღმდეგია და თვითვე განშორდა ამ თავ.-აზნაურობას?

რა უფლებით შეუძლიან დეპუტატთა საკრებულოს, ათასჯერ „გაძლიერებულიც" რომ იყოს, თავადაზნაურობისაგან აღიარებული პრინციპები გადალახოს და შეურაცხყოფა მიაყენოს? სასაცილო აქ ის არის და გულის ამრევი, თვით თავ. დ. მელიქიშვილი მიხვდა, რომ მისი სიტყვები, ზემოხსენებულ ოქმში შეტანილი, შეუფერებელი იყო **ქართველის თ.-აზნაურობის წარმომადგენელისათვის** (ამ სიტყვებს ხაზს ვუსვამთ), დეპუტატთა საკრებულო კი წინ უსწრებს და ანუგეშებს, „რა გაწუხებს, ეგეც თუ სთქვი, ძალიან კარგი გიქნიაო".

ამ ინციდენტმა ბევრი ლაპარაკი გამოიწვია და ყველაზედ უფრო საყურადღებო აქ ის არის, რომ მაშინვე თავ. მელიქიშვილის პირადობას ეცნენ და მის პირად ღირსებებზედ შეჰქმნეს ლაპარაკი. ვის რა საქმე აქვს თავ. მელიქიშვილის პირადობასთან, ან ვის რა უთქვამს იმის პირადობის შემბღალველი. ყველამ ვიცით, რომ თავ. მელიქიშვილი ეკუთვნის იმ იშვიათ ტიპს ეკატერინე მეორის დროის კარის-კაცისას, რომელიც გულწრფელად მზად იყო მთელი თავისი ცხოვრება ამ „კარისათვის" შეეწირა, მიუხედავად იმისა, თუ რა იდეალები, ან რა აზრები და გრძნობები ასულდგმულებდა ამ „კარს". თავ. მელიქიშვილი ჩვენ გვეგონა უფრო განვითარებული კაცი, მაგრამ მისმა გრძელმა ბარათმა, თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილთან მიწერილმა, რომელიც „ზაკავკაზსკოე ობოზრენიეში" გამოაქვეყნა, მის განვითარებაშიაც ეჭვი აღგვიძრა. სიტყვების რახა-რუხი, თუგინდ ათასს ფურცელზედ იყოს მოთავსებული იგი, არაფერს არ შეიცავს. დღევანდელ პირობებში კი იმისი თქმა და მტკიცება, „გვირგვინი" პარტიის გარეშე სდგასო, არ ეპატიება არც ორი წლის ბალღს.

ერთის სიტყვით, თავ. მელიქიშვილს შეეხნენ იმდენად, რამდენადაც იგი იყო ქართველ თავ.-აზნაურობის წარმომადგენელი და როგორც ასეთს, რაკი სავსებით იცოდა ის უთანხმოება, რომელიც არსებობდა თავ.-აზნაურობასა და მის შორის, ან არ უნდა ეკისრა როლი სტატისტისა და ან თუ იკისრა, არ უნდა გაებედნა სიტყვების თქმა პეტერბურგში მარკოვსა და მსგავსთა წინაშე ჩვენის ერის უწმინდეს იდეალებისა და ადამიანობის შესახებ.*) პირადად კი რაც ენებოს, ის ილაპარაკოს.

თუმცა კარგად რომ გავსინჯოთ, არა გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ პურიშკევიჩიც „გულწრფელად" არ იყოს გატაცებული თავის ხულიგანურის აზრებით, მაგრამ მთელმა საქართველომ ზიზღით მოიხსენია იგი. რა ეთქმის იმ ქართველს, რომელიც მარკოვსა და კრუპენსკის მეგობრობას შეჰფიცებს და შეურყევლად დაჯერებს, თქვენი მომხრე ვარო. მით უმეტეს თუ ეს ქართველი კიდევ ქართველის, რომელიც გნებავთ, კლასსის გინდ წოდების წარმომადგენელის როლშია.

მაგრამ მადლობა უფალს, თავ. მელიქიშვილი დიდ უარზეა. არაფერი მსგავსი არ მითქვამსო. მაშასადამე, „გაძლიერებულმა" დეპუტატთა საკრებულომ რაღა აზრით გადასწია სასწორს ისე ძლიერ, რომ აზარმაცი დაამსხვრია და განაცხადა: „კიდევაც რომ გეთქვას ის სიტყვები, რა უყოთო".

ის უყოთ, ბატონებო, რომ ეგრეთ დაწესებულებას, რომელსაც თავის უფლებების დაცვა ვერ მოუხერხებია და დღეს ერთს ამბობს და ხვალ სხვას, ზნეობრივად გაკოტრებულთა რიცხვში სთვლიან! ის უყოთ, რომ თქვენ პროტესტს პურიშკევიჩის მიმართ აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, თუ თქვენივე პურიშკევიჩის აზრს, თქვენისავე წევრისაგან წარმოთქმულს! მიწონებთ და ტაშს დაუკრავთ! ის უყოთ, რომ თქვენ ამაზე, ადრე იქმნება თუ გვიან, პასუხს გასცემთ ჩვენს ერსა და თვით იმ წოდებას, რომლის წარმომადგენელნიც ბრძანდებით, სრულიად სამართლიანად მოგახსენეს *), მარჯვნით გადახრა შეიძლება, მაგრამ ისე კი არა, რომ ჯურღმულში ჩაცვივდეთო.

ჩვენთვის პირადად კი ეს ფაქტი სასიამოვნოც არის. არის საეროვნო წმიდა იდეალები, რომლებსაც ზოგიერთი ჯგუფი ... კიდევაც ხელს უშლის. ჩვენ ... წინააღმდეგ ... ნადაგ იმას გაიძახოდნენ, ავტონომია მარტო ფეოდალებს სურთ ბატონ-ყმობის აღსადგენადაო. ჩვენ იმ თავითვე ვამბობდით, ავტონომიას ემხრობა საუკეთესო ნაწილი ჩვენის თ. აზნაურობისა, მისი გალარიბებულ და პოლიციურად შეურაცყოფილ უმეტესობის წარმომადგენელი და არა მსხვილ-მსხვილი „ჩინოვნიკ-ფეოდალებიო," რომელთათვისაც ყოველივე პოლიტიკური უფლება ჩვენის ერისა საწამლავია. ამ ჯგუფს ეკუთვნის თავ. დ. მელიქიშვილიც, რომლის გრძელი „კრედო" „ზაკავკასკოე ობოზრენიეში" დასტამბა და კომპლიმენტებიანი კომენტარიები გაუკეთა, ამ ჯგუფის წარმომადგენელია ის „გაძლიერებული" დეპუტატთა საკრებულო, რომელიც 9 იანვარს შეიკრიბა და ისეთი უცნაური რეზოლიუცია გამოიტანა, რომელიც მათთვის თავის გაწკეპვლის მსგავსია, ხოლო ჩვენის აზრისა კი შეურყევლად დამამტკიცებელი. სულ მთელი ეს მოვლენა კი, როგორც კიდევაც აღნიშნეს, იმისი მომასწავებელია, რომ რეაქცია ჩვენში ძლიერდება და ფესვებს იდგამს. ამით კი უნდათ ისარგებლონ ისეთმა დახავსებულის რწმენის კაცებმა, როგორიც თავ. მელიქიშვილის „გაძლიერებული" დეპუტატთა საკრებულოა. მათი სცენაზე ასე უტიფრად და თამამად გამოსვლა საშიში სიმპტომია.

**იმერელი ამომრჩეველი.**

---

*) ეს სიტყვები სხვაგვარად გადმოეცა მემდეგში თ. მელიქიშვილმა, მაგრამ არსებითი განსხვავება არ არის.

*) რაკი თავ. თ. მელიქიშვილის სიტყვებში იმ სახით, როგორც ეს ზემოდ არის მოყვანილი ქართლ-კახეთის დეპუტატთა საკრებულომ ვერა იპოვა რა სასაყვედურო, მამ ამ სიტყვებს, რომელზედაც თ. მელიქიშვილიც კი უარზედაა, იგი იმეორებს და ადასტურებს ვითა მოხაწონარს.

*) თავ. დ. მელიქიშვილმა სხვაგვარად გადმოგვცა თავისი სიტყვები ავტონომიისა და ავტოკეფალიის შესახებ და რაღაც „განთიშვის ქვაზედ" ილაპარაკა. ამით საქმე არ გამოსწორებულა და არც იმით, რომ გაზნარებული გავარდნილა დარბაზიდან, როგორც მოწმეები იმ პრინციპის მოწინავეობა, რომელსაც მთელი ჩვენი თ.-აზნაურობა ემხრობა.

თავ. ვლ. მიქელაძის როლი მეტად... არ ვიცი რა ვთქვათ. გამოგზავნა ოქმი და მერე იმის მაგიერ, რომ დაეცვა თავისი ოქმი, მელიქიშვილის კომპლიმენტებს მოჰყვა და ფიცი დაუდვა, მან მინდოდი სახელმწიფო საბჭოს წევრადაო, თითქო ამისი უფლება თ. ვლ. მიქელაძეს ჰქონოდეს. ნეტა არ იცოდა, თუ კი თვით მელიქიშვილსაც კი ესმოდა, რომ ის ქართველ თ.-აზნაურობის წარმომადგენელი ვერ იქმნებოდა. ვლ. მიქელაძემ ან ქუთაისის საზოგადოება შეიყვანა შეცდომაში, ან ტფილისისა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ თ. ვლ. მიქელაძე თავს იმართლებს თავის ამომრჩეველთა წინაშე.

*) „ივერია", N 3, მეთვალყურის წერილი.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **რუსების გადმოსახლება.** 13 თებერვალს ეკატერინოსლავიდან ტფილისში ჩამოვიდა და ბელი-კლუჩში გაემგზავრა რუსთა ერთი ჯგუფი. ჯგუფს აზრადა აქვს დაათვალიეროს თავად ბარათაშვილების მამული და თუ სოფლის მეურნეობისთვის გამოსადეგი გამოდგება, საგლეხო ბანკის საშუალებით შეიძინოს და ამ მოკლე ხანშივე გადმოსახლდნენ.

✦ **ქალების დეპეშა.** გუშინ წინ ტფ. ქალთა ერთმა ჯგუფმა (150) შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატს გეგეჭკორს: „გთხოვთ გადასცეთ რუსეთის ქალთა პირველ კრების თავმჯდომარეს ქ-ნ ფილოსოფოვას ჩვენი გულწრფელი და გულითადი თანაგრძნობა იმ უმაგალითო შეურაცყოფისა გამო, რომელიც მას მიაყენეს კაცთ მოძულე პურიშკევიჩმა. დღეგრძელ იყოს მისი სასარგებლო მოღვაწეობა!"

✦ **ილია ჭავჭავაძის ქაღალდები.** ამ ორი დღის წინად დავბეჭდეთ რამდენიმე წერილი განსვენებულ ილია ჭავჭავაძისა. ეს წერილები მგონის ქაღალდებში უნახავს ილია წინამძღვარიშვილს. გარდა ამ წერილებისა ბ-ნ წინამძღვარიშვილს უნახავს მრავალი მასალა, ილიას მიერ შეგროვილი კავკასიის შესახებ, რომლითაც მას უნდა ესარგებლნა სახელმწიფო საბჭოში. სხვათა შორის უნახავს ერთი ქაღალდი, რომელშიაც განსვენებული ჭავჭავაძე სწერს, რომ თუ ჩვენ ფრაქციას საბჭომ მხარი არ დაუჭირა სიკვდილის სასჯელის გაუქმების შესახებ, საბჭოდან გავიდეთო.

✦ **„ფასკუნჯი"** გამოვიდა „ფასკუნჯის" მეშვიდე ნომერი შემდეგის შინაარსით: დ. თომაშვილის ლექსი * * *. მეტერლინკის „მადონნას სიმღერა", თარ. ა. შანშიაშვილისა.—შ. არაგვისპირელის ეტიუდი „გრძნეული ციხე". დ. ლუკაშვილის „დღეობაში".—საადის „გულისტანი", თარგ. ა. სარაჯიშვილისა.—კ. აბაშიძის „ვაჟა ფშაველა".—კრაკის „საუბარი ხელოვნების შესახებ".—ახალი ამბები.

✦ **გულიევის დაბრუნება.** როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ რამდენიმე დღის წინად ბაქოში მოი-

ტაცეს გულიევის შვილი. 12 თებერვალს გულიევი დაბრუნებულა. მისის სიტყვებით იგი სამ მაჰადიანს მოუტაცნია და ერთ სარდაფში დაუმწყდევია. მეორე დღეს იგი რესტორან „პარიზში“ წაუყვანიათ, სადაც იგი ორ დღეს ჰყოლიათ, შემდეგ 110 მანეთი მიუციათ და უთქვამთ, ორი დღის განმავლობაში სახლში არ მიხვიდეო. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ფულის სათხოვნელად არავინ მისულა, თვითონ გულიევის შვილი მივარდნილა სახლში და უთქვამს, მოკვლას გვპირებენ, თუ 1000 მანეთს არ მივცემთო. როგორც ვიცით, 1000 მანეთი შეშინებულმა ქალებმა მისცეს. პოლიცმეისტრის ბრძანებით, გულიევის შვილი დაუპატიმრებიათ.

**✦ კრება.** დღეს, 12 საათზე, ტფ. საჯარო ბიბლიოთეკის ზალაში დანიშნულია კრება მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა, რომელზედაც ე. თაყაიშვილი წაიკითხავს მოხსენებას თავის მოგზაურობის შესახებ ქსნის ხეობაში.

**✦ ჭინკათხევის სკოლა.** წ.-კითხვის საზოგადოებამ, თანახმად შეკითხვისა, აცნობა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორს, რომ ართვნის ოლქის ჭინკათხევის მომავალ სკოლის მეოთხე განყოფილებაში სამღვთო სჯულისა არითმეთიკისა და სამშობლოს აღწერის სწავლება მოეწყობა ისე, როგორც ეს მესამე განყოფილებაშია, თანახმად 1881 წლის წესდებისაო.

**✦ თათრულ ენის მასწავლებელი.** წერა-კითხვის საზოგადოების ბათუმის სკოლის სამზრუნველოს აღნიშნულ სკოლის თათრულ ენისა და მაჰმადის რჯულის მასწავლებლად მოუწვევია მამედ-ეფენდი ჟორდანია.

**✦ დახმარება უბედურ შემთხვევებში.** კავკ. უმაღლეს მთავრობის განკარგულებით, უნდა შესდგეს ტფილისში განსაკუთრებული კომიტეტი უბედურ შემთხვევების დროს პირველ საექიმო დახმარების აღმოსაჩენად. საგუბერნიო მთავრობის წინადადებით, აღნიშნულ კომი-[illegible]

ლაქის საბჭოსი. გამგეობის წარმომადგენლად არჩეულ იქმნა თ. ა. მ. არგუთინსკი, საბჭო ხვალ აირჩევს თავის წარმომადგენლს.

**✦ მკვლელობა.** გუშინ, 14 თებერვალს, უცნობებმა განოვის ქუჩაზე მოჰკლეს მდიდარ საფაროვის შვილი. სროლის დროს შემთხვევით დაიჭრა უცნობი და გოროდოვოი. ერთი ბოროტ-განმზრახველთაგანი მოუკლავთ. დანარჩენები მიმალულან.

**✦ ბავშვების გატაცება.** დეპეშათა სააგენტოს ცნობით, ბაქოში შეიპყრეს 16 წლის გიმნაზიელი მამედოვი, რომელსაც აბრალებენ ვაჭარ აბრამიანცის გატაცებაში მონაწილეობის მიღებას.

**✦ წ.-კითხვის საზოგადოების განყოფილება ჭიათურაში.** დ. ჭიათურაში 10 თებერვალს, ს. ტარუაშვილის მიწვევით შეიკრიბა რამდენიმე ადგილობრივი წევრი წერა-კითხვის საზოგადოებისა. კრებამ გადასწყვიტა, დაარსოს დ. ჭიათურაში განყოფილება. გადასწყვიტა აგრეთვე, რომ განყოფილებამ ჭიათურაში იქონიოს მაღაზია წიგნებისა, ბიბლიოთეკა სამკითხველო და გამართოს ხოლმე სახალხო კითხვები; კრებამ შეადგინა ოქმი, თანახმად ინსტრუქციისა, და აირჩია. გამგეობაში: თავმჯდომარედ ქ. ჭუმბურიძე, წევრებად: ირ. დეკანოზიშვილი, ი. გომელაური, ალ მითაიშვილი დ. სატურიაშვილი, ხოლო სარევიზიო კომისიაში: ნ. წუწუნავა. ნ. ლეჟავა და გ. გუჯეჯიანი. ამ დღეებში ეს ოქმი გაეგზავნება ტფილისის გამგეობას.

**✦ ალმანახი „ძალა“.** დღეს გამოვიდა ალმანახი „ძალა“

**✦ ჟურნალი „თეატრი“** 22 თებერვალს ტფილისში გამოვა ახალი ალმანახი „თეატრი“.

**კავკასიის შესწავლა.** „პათომ. ნოვ.“ სიტყვით, გაზაფხულზე კავკასიაში სწავლულია ჯგუფი ჩამოვა. მსწავლულებს აზრად აქვთ კავკასიის მცენარეების შესწავლა.

**✦ სახალხო კითხვები.** დღეს, 15 თებერვალს, კავკ. სამკურნალო საზოგადოებაში გაიმართება სახალხო კითხვები ბავშვებისათვის: ექიმი ტიხომიროვი წაიკითხავს რუსულად: „პირველი დახმარება უბედურ შემთხვევებში“. დასაწყისი 5 ნახევ. საათ.; ქართულად ექიმი ღამბაშიძე: „პოპულიარული სისტემატიური კურსი ადამიანის ანატომიისა და ფიზიოლოგიაზე“. დასაწყისი საღამოს 6 ნახევარ საათზე.

**✦ ქალაქის საბჭო.** ხვალ, 16 თებერვლისათვის ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომაა დანიშნული. საბჭოს ბევრი ისეთი საქმე აქვს განსახილველი, რომლისთვისაც საჭიროა არა ნაკლებ 40 ხმოსნის დასწრება. ამიტომ ქალაქის მოურავის მოადგილე სთხოვს ხმოსნებს, უსათუოდ დაესწრნენ სხდომას.

**✦ ავაზაკებთან ბრძოლა.** დეპეშათა სააგენტოს ცნობით, კავკავში ავაზაკთა ბრბოსთან საბრძოლველად დანიშნეს რაზმები ქვეითა ჯარის და ყაზახებისა.

**✦ ქართული რემინგტონი.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას განზრახვა აქვს საბეჭდავ მანქანის „რემინგტონის“ შეკვეთა რომელისამე ფირმისათვის. რემინგტონისათვის ქართულ ანბანის დაწყობა უკვე დაევალა მცოდნე კაცს. თუ მანქანის მსურველი ათამდე კაცი აღმოჩნდება, თითო მანქანა დაჯდება არა უმეტეს 300 მანეთისა.

**✦ წ.-კ. საზოგადოების განყოფილება ბაქოში.** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა მოხსენება ბაქოს წევრთა საზოგადო კრებისა განყოფილების დაარსებისა და განყოფილების გამგეობის წევრთა არჩევნის შესახებ. გამგეობამ დაადგინა, აღძრას შესაფერი შუამდგომლობა სათანადო მთავრობის წინაშე.

**✦ შეცდომის გასწორება.** 12 თებერვალს ჩვენ გაზეთში დაბეჭდილი ილია ჭავჭავაძის წერილებში რამდენიმე შეცდომა შეპარულა. 25 აპრილს 1906 წლის თარიღით აღნიშნულ წერილში პირველ პწკარში დაბეჭდილია „ნუ უპირდები“, უნდა იყოს „ნუ აუხირდები“.

**✦** წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის განკარგულებით 20 მან. წიგნი გაეგზავნება სოფ. მათხოჯის ბიბლიოთეკას.

**✦** დიდუბისა და ნაძალადევის მცხოვრებ სომხებმა ტფ. ქალაქის გამგეობას სთხოვეს დაეთმოს მათ თავისუფა-[illegible]

# პატარა ფელეტონი

## სალამი დევნილს

მოხუცო! მე მინდა მივმართო არა მათ, ვინც შენა გდევნიან, არამედ თვით შენ, დევნილს.

მე მარტო ერთხელ გნახე ბავშვობისას!

მაშინ შენ ისევ შენი სამშობლოს მზე გათბობდა, მისი მთების სიო გბერავდა, მისის სიამით სტკბებოდი. მაშინ, ალბად, ბედნიერად ჰგრძნობდი თავს, რომ მთელის ცოდნით, მთელის ძალ-ღონით ემსახურები შენ მხარეს, შენ სალხს, მაგრამ მაშინაც კი რა გამხდარი იყო შენი სახე, რა მწუხარე და ნაფიქრებული!..

ეხლა რაღას ჰგავხები?

სიცივე და გაჭირვება ხომ უფრო მეტად ჩამოგახმობდა! სიბერე და დევნა ხომ უფრო მოგიმატებდა მწუხარებას! უსამართლობა და საზიზღრობა ხომ უფრო ჩაგაფიქრებდა!

შენა გდევნიან ისინი, ვინც მარადის ლოცულობს, პირჯვარს იწერს. მე მათსავით არცა ვლოცულობ, არც პირჯვარს ვიწერ, მაგრამ ჩემი გული კი აღშფოთებულია შენის დევნით, მათის უსამართლობით.

შენ გიხმობენ მშვიდობიანობას მართლმორწმუნენი, არ ინდობენ შენს მოხუცებულობას, შენ სიპატიოსნეს, შენ სიყვარულს შენი ხალხისა და სამშობლოსადმი. მე კი მათსავით არამართლმორწმუნე სიამოვნებით ვუღებ ჩემი გულის კარებს შენ სიყვარულსა და პატივისცემას, სიყვარულსა და პატივისცემას ჩაგრულისა და დევნილისადმი...

და, მართლ-მორწმუნეებმა უფრო შორს გაგტყორცნონ შენის ხალხისაგან, ჩემი ურწმუნო გული მაინც ტკბილ სალამს გიძღვნის! ის მაინც მოაღწევს შენამდის და იქნებ მცირე სიამე მაინც მოჰგვაროს შენ მწუხარე სახეს!

და, მართლ-მორწმუნეებმა გადაგასახლონ უფრო მიყრუებულ, უფრო ცივ ქვეყანაში, ჩემი ურწმუნო გული მაინც უხვად გიგზავნის თავის სიღრმიდან ამონაჩქეფ თბილ გრძნობებს. იქნებ ამათაც მოაღწიონ შენამდის და ცოტაოდნად მაინც გაათბონ შენი მოხუცი გული, სიცივისა და ყინვისაგან სუსტად მფეთქავი, მიდუნებული.

„ნეტარ არიან ტანჯულნი და დევნილნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი [illegible]

ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანისათვის. მაშ შენც დაეწაფე ამ დაუშრეტელ წყაროს და „მათ“ კი, დაე, გაიაგრძონ თავიანთი დევნა და შეურაცხყოფა!

ლევ. — ლი.

## მკითხველ საზოგადოებას

ვაუწყებ საზოგადოებას, რომ გუშინდელ გაზ. „ზაკავკაზიე“-ს ნომერში დასტამბული წერილი „Индивидуальныя черты грузинъ въ мелодіяхъ“ მე არ მეკუთვნის.

ი. კარგარეთელი.


# განცხადებანი

## სანერგე ავსარქისოვისა

ჰყიდის ხეხილის ნერგებს. ხეხილი საუკეთესო ჯიშისაა: საზღვარ-გარეთელი, რუსული და ადგილობრივი. კატალოგები მსურველს უფასოდ ეგზავნება. ადრესი: Ст. Скра, Закав. Каз. Жел. Дор. Авсаркисову. (10—4)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი**

(წ.—1—26)

# თესლეულობა

მაღაზია [illegible] ქუთაისში, [illegible]

მიღებულია საუკეთესო ჯიშების იონჯის, სამყურის, კოინდრების, ბელოლის, ეკლის ხის (гледичъ) და ყოველნაირ ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვა თესლეულობა. აქვე იყიდება ნამყენ ხეხილების ნერგები. მსურველთ პრეისკურანტი ეგზავნებათ მუქთად. (25—კვ.—11)

**ექიმი ე. ს. ხუნდაძე** ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაებს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—ნ.—10)

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

ამით ვაუწყებ პატივცემულ საზოგადოებას: ს. ს. ოფშქვითის, საყულიის, ბაშისტყაჩირის, პატრიკეთის, გეგუთის, უკანეთის, მუხიანის, ქვიტირის, ძეხწეთის, საჩინოს, ვანის, დიხაშხოს იხრითის, ბზვანის, ამაღლების, ინაშოურის, გორის, ზეინდარის და სხვათა მცხოვრებთ, რომ 1908 წელს, ვისაც ჰქონდა ჩემგან აღებული ბ-ნ სარქის ზარაფიანის ფირმის აბრეშუმის თესლი, წელს მიეცემათ ჩემგან **უფასოდ** ნახევარ-ნახევარი კოლოფი თითო ოჯახს, არა მეპარეიეს. ახალ მუშტრებს გაისათაც უფასოდ მიეცემათ ნახევარი კოლოფი. ვისაც მარმანდელი ანგარიში არ გაუსწორებია, იმათ უფასოდ არ მიეცემათ. თესლი უფასოდ ნაწევარი კოლოფი 15 თებერვლიდან 1 მარტამდე. თესლი უმთავრეს საწყობში სოფ. ოფშქვითს და მის განყოფილებაში ფარცხანაყანევის იარმუკაში.

პატივისცემით **ანტონ ალექსის ძე მარგოლდაშვილი.**

37 წლიწადი

პირველი კავკასიის

## დეპო თესლებისა

ლ ა რ შ ე

ტფილისში, მიხეილის პროსპექტი № 23.

ურჩევს ყველას საბოსტნე, საყვავილე და სხვა თესლებს უკანასკნელ ნაღებისა.

(10—ხელ.—7)

## ОСЕННЫЙ ТЕЛЯТНИКЪ ЖИВОПИСЦЕВА въ г. ОРЛѢ



შუშა ჩირქი 50 კაცისთვის—25 კ., 25 კაც.—15 კ. პაწ. შუშა 5 კაც.—5 კაპ. მა-[illegible]

(3—ც—3)

## პროვოდნიკის ამხანაგობა

რიგაში

1888

საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში

სოლოლაკის ქუჩა, № 4.

**იყიდება ნარდად და ცალობით:**

ლინოლეუმი, ლუფრელი, ერთფერიანი და უზორებიანი, ასბესტის კარტონი, ასბესტის და ტალკის ნაბივკა

## ახალი რამ:

„საუკუნო“ ლინოლეუმი უზორებით, რომელიც მეორე მხარესაც-კი გადის და რომელიც თითონ ლინოლეუმის გამჭოლად არ იცვლება.

ლინკრუსტა (საუკუნო შპალერი) ნაირ-ნაირი უზორებით, საუცხოვო ოთახისათვის და საუკეთესო გაფორმებისთვის.

## ცალობით ვაჭრობა დღეს-მიწაზე საუკეთესო კალოშების „პროვოდნიკი“-სა

## კალოშები „პროვოდნიკისა“

1897



პატენტ-მიღებული საუკეთესო მთელ ქვეყნიერობაზე

პირველი ადგილი უჭირავთ სიმკვიდრით, და ხელმოწერილ ფასონის სილამაზით საქონლის ღირსებით.

უმჯობესი თავმდებობა საქონლის სიმაგრისა სიმტკიცის და სიმაგრისა ყოველ წყვილზე.




## პროვოდნიკისა

წარმომადგენელი მთელ კავკასიისთვის

## მიუნ და ვეის

ტფილისი და ბაქო.

1888

(50—6.—50)